



ბანათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი  
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი  
საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

მედიცინის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამა

შპს საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტი

28-29 აპრილი 2021

დასკვნის წარდგენის თარიღი

თბილისი

## ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ<sup>1</sup>

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	შპს საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	204886454
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

## ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	მედიცინა
უმაღლესი განათლების საფეხური	მედიცინის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია <sup>2</sup>	დიპლომირებული მედიკოსი
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	0912 მედიცინა
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება (მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო- სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში)	
სწავლების ენა	ქართული
ECTS კრედიტების რაოდენობა	360 წელი
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)	აკრედიტაციის საბჭოს 2011 წლის 2 დეკემბრის N388 გადაწყვეტილება

## ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	რადკა ფილიპჩიკოვა, პალაკის უნივერსიტეტი ოლომოუჩი, ჩეხეთის რესპუბლიკა
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ირმა მანჯავიძე, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი, საქართველო

<sup>1</sup> ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ისათვის

<sup>2</sup> უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით

წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	მარიამ აბულაძე, ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტი, საქართველო
---	---

## აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

### ▪ ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

სდასუ მდებარეობს თბილისში და აქვსმედიცინისა და სტომატოლოგიის დამოუკიდებელი სკოლა. მისი ძირითადი მიზანია, ჰუმანისტურ იდეალებთან ერთად საერთაშორისო სამედიცინო სტანდარტების მოთხოვნებზე აქცენტირებით, მედიცინისა და სტომატოლოგიის დარგში სტუდენტების უზრუნველყოფა კლინიკური უნარების გამომუშავებისთვისწავლის პერიოდშივე, ბიომედიცინის სამეცნიერო პრინციპების, მეთოდებისა და ცოდნის გამოყენებით სამედიცინო პრაქტიკაში და კვლევაში. სასწავლო პროგრამები მოიცავს ერთ სპეციალობას მედიცინაში, ერთ სპეციალობას სტომატოლოგიაში, კლინიკურ ორდინატურას და დოქტორანტურას მედიცინაში.

### ▪ აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა

აკრედიტაცია შედგა 2021 წლის 28 და 29 აპრილს ჰიბრიდულ, ნახევრად ონლაინ ფორმატში. იგი შედგებოდა აკადემიური პერსონალის გამოკითხვისა და შემდგომ, სდასუ-ს და მასთან სახელმწიფოებო ურთიერთობებში მყოფი საავადმყოფოებისა და სამედიცინო დაწესებულებების სასწავლო ობიექტების უშუალო მონახულებისაგან. ოთხკაციან ჯგუფს მიეცა შესაძლებლობა შეხვედროდა უნივერსიტეტის ადმინისტრაციის, თვითშეფასების ჯგუფის, აკადემიური და მოწვეული პერსონალის, სტუდენტებისა და დამსაქმებელთა წარმომადგენლებს.

### • საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა

ზოგადად, მედიცინის სკოლის სტანდარტები და მომზადებული პროცედურები შეიძლება შეფასდეს, როგორც მოთხოვნების შესაბამისი და დამაკმაყოფილებელი. თვითშეფასების ჯგუფი, აკადემიური პერსონალი და სტუდენტები აკმაყოფილებენ ეროვნულ სტანდარტებს. მიუხედავად ამისა, მნიშვნელოვნად უნდა გაუმჯობესდეს მოპოვებული ინფორმაციის გამოყენება. სტანდარტების შესაბამისად ცალკეული სფეროების ხარისხის შეფასებისას მონაცემთა წყაროს სწორად გაანალიზების, სწორი დასკვნების გამოტანისა და პრაქტიკაში მათი შემდგომი განხორციელებისათვის აუცილებელია მნიშვნელოვანი ძალისხმევის გაწევა. აღნიშნულითვითშეფასების ანგარიში მიუთითებს, რომ თვითშეფასების პროცესი მოიცავდა დაინტერესებული მხარეების მოსაზრებების ანალიზს. პროგრამის მონიტორინგი მოიცავდა: პროგრამის რესურსების, კვალიფიკაციის, პროგრამის განმახორციელებლების კლინიკური გამოცდილების, პროგრამის განხორციელების

ხარისხის უზრუნველყოფას; ინფრასტრუქტურისა და ფიზიკური და ტექნიკური ობიექტების მდგომარეობას; აქტივობებს, რომლებიც ორიენტირებულია სტუდენტების განვითარებასა და წინსვლაზე; კურსდამთავრებულთა დასაქმების პროცენტულობას; უნივერსიტეტში არსებულ ხარისხის უზრუნველყოფის სისტემას და ა.შ. ამის მიუხედავად, არ გაკეთებულა არავითარი ანალიზი. იგივე სიტუაციაა SWOT მიმოხილვასთან დაკავშირებით. დოკუმენტაციაში ნათქვამია: "საანგარიშო პერიოდის (2015-2019წწ.) ანალიზი, პროგრამის ძლიერი, სუსტი მხარეები, შესაძლებლობები და საფრთხეები გამოვლენილ იქნა გარე ფაქტორების ზემოქმედების გათვალისწინებით." ამასთან, წარმოდგენილი იყო მხოლოდ ანალიზის პირველი ეტაპი, ანუ ძლიერი, სუსტი მხარეების, შესაძლებლობების და საფრთხეების იდენტიფიცირება. SWOT ანალიზის მეორე ნაწილი არ ჩატარებულა. ეს ნაწილი არის SWOT-ის შეფასებითი კომპონენტი. ეს ნიშნავს, რომ იგი ანიჭებს წონას/მასშტაბს (რიცხვით მნიშვნელობას) და ამით ხდება SWOT ნაწილის ფუნქციონალურობის მათემატიკური შედეგი, რაც იძლევა შედარების საშუალებას ხარისხის შესაფასებლად. ანალიზის განხილვა ვერ მოხერხდა, რადგან იგი არ იქნა წარმოდგენილი ინგლისურ ენაზე.

ეს დასკვნები წარმოადგენს ე.წ. ბლოკებს შემდეგი დონის ხარისხის სამიზნენიშნულების შენებისთვის. აკრედიტაციის პროცესში არ იქნა წარმოდგენილი ძირითადი დოკუმენტები, რომლებიც იძლევა მონაცემთა საპირისპირო დამუშავების სრული სურათის მიღების, მათი ანალიზისა და შედეგების შეფასების საშუალებას. ზემოთქმულიდან გამომდინარე, საჭიროა გაუმჯობესდეს ინტერნაციონალიზაციის პრობლემების გადასაჭრელად ძალისხმევა, მედიცინის დარგში სტუდენტთა წარმატებული შედეგების უკეთ გამოყენება ინტერნაციონალიზაციის პროცესში, მაგალითად ვებგვერდის სრული რეკონსტრუქცია ან ერასმუსის პროგრამის გაძლიერება, მეტი მასალის განთავსება ინგლისურ ენაზე.

- რეკომენდაციები
  
- რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
  
- საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)
  
- ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

## პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

### 1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

#### 1.1 პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული და რა წვლილი შეაქვს სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.

#### სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამის მიზნები მკაფიოადაა ჩამოყალიბებული. ისინი მიღწევადია და განსაზღვრავს ცოდნასა და უნარებს, რომლებიც უნდა შეიძინოს თითოეულმა სტუდენტმა. ერთსაფეხურიანი პროგრამის კურსდამთავრებულ სტუდენტს შეუძლია სწავლის გაგრძელება სადოქტორო პროგრამაზე. თვითშეფასების ანგარიშში ნათქვამია, რომ საგანმანათლებლო პროგრამა განიხილა ინსტიტუციურმა საბჭომ და დასკვნისათვის წარუდგინა უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს. მისი პოზიტიური დასკვნის საფუძველზე, იგი დაამტკიცა აკადემიურმა საბჭომ და შემდეგ წარდგენილ იქნა აკრედიტაციისათვის. აკრედიტაციის პროცესში აღნიშნული დასკვნა ვერ იქნა წარმოდგენილი.

თვითშეფასების ანგარიშში ნათქვამია, რომ პროგრამის მიზნები მთლიანად შესაბამისობაშია უნივერსიტეტის მიზნებთან. გამოკითხვის დროს, ისინი გლობალურად იყო წარმოდგენილი, მაგრამ მომავალი გამოკითხვებისათვის ბევრად უფრო გამჭვირვალე იქნება, თუ დაწესებულება მიზნებს წარმოდგენს ე.წ. მყარი წყაროების მონაცემების გამოყენებით. მიზანშეწონილი იქნება, რომ ეს ინფორმაცია, ასევე, განთავსდეს ფაკულტეტის ვებგვერდზე და წარმოდგენილი იქნას მისი პროცესი და ხარისხის დონეს.

ინტერვიუს დროს მედიცინისა და სტომატოლოგიის სკოლის ხარისხის დეპარტამენტის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ თვითშეფასების პროცესი განახორციელეს უნივერსიტეტის სტრუქტურულმა ერთეულებმა. ამას დაემატა სტრუქტურული ერთეულების მახასიათებლები, მათი სამუშაოს აღწერილობა, ინფორმაციის შეგროვების მეთოდები, მათი ანალიზი და ასახვა.

თვითშეფასების ანგარიში აცხადებს, რომ სასწავლო პროგრამა ასახავს ადგილობრივი შრომის ბაზრის მოთხოვნებს, საერთაშორისო შრომის ბაზრის ტენდენციებს, ისევე როგორც მეცნიერებისა და სოციალური განვითარების საჭიროებებს. თვითშეფასების ანგარიშისათვის ძალიან სასარგებლო იქნებოდა არგუმენტირება, თუ რომელი ანალიზი იქნა გამოყენებული ამ ინფორმაციის მოსაპოვებლად.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- პროგრამის მიზნები;
- საგანმანათლებლო პროგრამა;
- ვებგვერდი;
- გასაუბრებების შედეგები.

**რეკომენდაციები:**

- წყაროების მონაცემთა დამუშავების დეტალური აღწერა პროგრამის მიზნების განსაზღვრის პროცესში. წყაროების მონაცემები, ანუ კატეგორიები (გეოლოგიური, მატერიალური, ტექნიკური, სოციალური, კულტურული, გამომხატველობის მოთხოვნები), რომელშიც შესრულდა შეფასება, უნდა ასახავდეს უნივერსიტეტის მიზნებს. იგივე პროცედურა განხორციელდეს ადგილობრივი შრომის ბაზრის მოთხოვნების ამსახველი კრიტერიუმის დასაკმაყოფილებლად. **დამატებითი აღწერა:** რა მონაცემი შეგროვდა და რა დროის განმავლობაში მუშავდებოდა, რა ტიპის კითხვარი იყო გამოყენებული - სტანდარტიზებული თუ არასტანდარტიზებული/ვალიდირებული და ა.შ., რა ტიპის კითხვები - ღია თუ დახურული, უკუკავშირის მაჩვენებელი იყო განსაზღვრული თუ არა, ცდომილების მაჩვენებელი იყო გათვალისწინებული, რა ტიპის სტატისტიკური პროცესირება იყო გამოყენებული.
- პროგრამის ჩართვა ინტერნაციონალიზაციაში და ვებგვერდის დაგეგმილი რეკონსტრუქცია იმის უზრუნველსაყოფად, რომ ინფორმაცია და პრეზენტაცია პროგრამის შესახებ იყოს საჯარო, ხელმისაწვდომი და გაზიარებული დაინტერესებული მხარეებისათვის

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

- ჯგუფი მიზანშეწონილად მიიჩნევს პროგრამის მიზნებისა, ამოცანების დამათიგანახლების წარმოდგენას ვებგვერდზე, საჭიროებისამებრ პროგრამისა და სტუდენტთა შეფასებებზე დაყრდნობით.
- სტუდენტები ჩართულნი არიან კვლევებში; ჯგუფს მიზანშეწონილად მიაჩნია, რომ მათი შედეგები წარმოდგენილ იყოს სკოლის ვებგვერდზე ინგლისურ ენაზე და ამით ხელი შეეწყოს სკოლის პრესტიჟსა და მის ინტერნაციონალიზაციას.

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

**შეფასება**

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;
- შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

### სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

დეკანის ბრძანების შესაბამისად, უნივერსიტეტმა განსაზღვრა სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი და სიხშირე. პროგრამის სწავლის შედეგები ფასდება წელიწადში ერთხელ ცალკეულ კატეგორიებში და რეტროსპექტულად. იგი ასახავს მიმდინარე საგნებს. სწავლის შედეგების შეფასების ანალიზი და მიღებული შედეგების შედარება. მითითებულ მნიშვნელობებთან, გამოიყენება პროგრამის განვითარების, მისი შინაარსის მოდიფიცირებისა და სწავლის შედეგების გასაუმჯობესებლად.

დეკანის ბრძანება მოითხოვს მიღწეული სწავლის შედეგების შეფასებას და სტუდენტების კმაყოფილების კვლევას 12 სფეროში, როგორც ეს აღნიშნულია ერთ-ერთ ფორმაში.

პროგრამაში ჩართული პირები უზრუნველყოფენ სწავლების შედეგების თაობაზე ინფორმაციის მიწოდებას ჩართული ადამიანებისათვის. კითხვა, თუ სად არიან ადამიანები ჩართული, რჩება უპასუხოდ. უნივერსიტეტის ვებგვერდზე გამოქვეყნებულია მოკლე აღწერა.

ერთ-ერთი სავალდებულო სტანდარტი მოითხოვს, რომ სტუდენტებმა მიიღონ გამოხმაურება იმის თაობაზე, თუ რა დონეზე აქვთ მიღწეული პროგრამის სწავლის შედეგები. თვითშეფასების ანგარიში მიუთითებს, რომ მედიცინის სკოლის სტუდენტები ინფორმირებულნი არიან პროგრამის სწავლის შედეგების და მათი შედეგების დონის შესახებ და ასევე, არსებობს შედეგების გაუმჯობესების მექანიზმები. ინტერვიუებისას ამას დაემატა, რომ ხდება შედეგების განხილვა და კონსულტირება. მიუხედავად ამისა, წარმოდგენილი ვერ იქნა დოკუმენტები, რომლებიც აჩვენებდა ამ ანალიზს, შედეგებს ან შედარებას. გუნდი მიიჩნევს, რომ სკოლა აღწევს დიდ შედეგებს და ეს საჯაროდ უნდა იქნას წარმოდგენილი სკოლის ვებგვერდზე, ინტერნაციონალიზაციის კიდევ ერთხელ მხარდასაჭერად.

აბსოლუტურად აშკარაა, რომ სკოლამ განიცადა მნიშვნელოვანი პროგრესი და



აკმაყოფილებს წარმოდგენილი კითხვის კრიტერიუმებს: კერძოდ, როგორ გავლენას ახდენს ეს ანალიზი სასწავლო პროგრამაზე?

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- პროგრამის სწავლის შედეგები;
- საგანმანათლებლო პროგრამა;
- პროგრამის მიზნები;
- პროგრამის ამოცანებისა და სწავლის შედეგების რუკა.

**რეკომენდაციები:**

- ყურადღება გამახვილდეს კურსდამთავრებულთა დასაქმების პროცენტულ მაჩვენებლის მონიტორინგზე.
- ხელმისაწვდომი გახდეს ან გამოქვეყნეს ანალიზის შედეგები.
- პროგრამაში ცვლილებების შეტანაში ჩართულ იქნეს სტუდენტთა საბჭო.

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
- 

**შეფასება**

○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა				

## 2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

### 2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.

#### სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

უმადლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას აქვს პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე კრიტერიუმები და პროცედურები, რომლებიც ეფუძნება ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგებს, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული შემთხვევების გარდა (საერთაშორისო სტუდენტებისათვის).

ონლაინ მხოლოდ მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამაა ხელმისაწვდომი. ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ განახლებული პროგრამა ხელმისაწვდომი იქნება მხოლოდ აკრედიტაციის შემდეგ.

სტუდენტებს ასევე შეუძლიათ გაეცნონ საინფორმაციო ბროშურას ვებგვერდზე. საინფორმაციო ბროშურის თანახმად, სტუდენტებს სთავაზობენ ფინანსურ შეღავათებს და დახმარებას. ოქროს და ვერცხლის მედლების მქონე აბიტურიენტებისათვის სწავლის საფასური ყოველწლიურად შემცირდება 20%-ით; შესაბამისად, თუ აბიტურიენტი თავის პირველ პრიორიტეტად აირჩევს სდასუ-ს საგანმანათლებლო პროგრამას, სწავლის საფასური შემცირდება 15%-ით; თუ სდასუ არის აბიტურიენტის მეორე არჩევანი, მისი სწავლის საფასური შემცირდება 10% -ით;

ერთი ოჯახის წევრების უნივერსიტეტში ერთდროულად სწავლის შემთხვევაში, თითოეული მიიღებს სწავლის საფასურის შემცირებას 10%-ით; უნივერსიტეტმა წარმატებული სტუდენტებისთვის დააწესა დავით აღმაშენებლისა და საქართველოს კათოლიკოს პატრიარქის ილია მეორის სახელობის სტიპენდიები.

თვითშეფასების ანგარიშის თანახმად 2019 წელს ვაკანტური ადგილების რაოდენობა იყო 120, ხოლო ჩარიცხული სტუდენტების რაოდენობა - 129. მაგრამ, საერთო ჯამში, განმცხადებლების რაოდენობა იყო 1235, რაც იმას ნიშნავს, რომ იყო კონკურსი და დაახლოებით 9,57 განცხადება მოდიოდა ერთ ადგილზე.

ინტერვიუებისას აშკარა გახდა, რომ სტუდენტებმა იცოდნენ უსდ-ს ამ შეღავათების შესახებ. მათ აქვთ მჭიდრო თანამშრომლობა დეკანატთან და ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტთან, სხვადასხვა სახის პრობლემისას მიმართვის შემთხვევაში, ისინი დიდ დახმარებას იღებენ სწავლებისა და სწავლის პრობლემების მოგვარებაში. სტუდენტების კმაყოფილების კვლევა ეხება ამ საკითხებსაც.

თვითშეფასების ანგარიშიდან ნათელია, რომ 2015 წლიდან სტუდენტების მიღების მაჩვენებელი გაიზარდა.

#### **მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- სამედიცინო საგანმანათლებლო პროგრამა (კურიკულუმი);
- აკადემიური პროცესის მარეგულირებელი წესი <https://sdasu.edu.ge/media/1001542/2019/06/25/ca854ed89ad02052ad2a7865ad29231b.pdf>
- ვებგვერდი [www.sdasu.edu.ge](http://www.sdasu.edu.ge)
- ინტერვიუს შედეგები.

#### **რეკომენდაციები:**

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

#### **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

#### **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
- 

**შეფასება**

○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

**2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი**

პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

დიპლომირებული მედიკოსის პროგრამა სდასუ-ში წარმოდგენილია როგორც ინტეგრირებული პროგრამა, რომელიც შემუშავებულია უნივერსიტეტში მოქმედი "საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და გაუმჯობესების მეთოდოლოგიით" შესაბამისად. პროგრამა შემუშავებულია კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული სისტემის შესაბამისად, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. პროგრამის სტრუქტურა (360 კრედიტი, 1 ECTS = 30 საათი) მოიცავს შესაბამის კურსებს სწავლის ძირითადი სფეროსათვის (354 კრედიტი) და თავისუფალ კომპონენტს (6 კრედიტი).

პროგრამა დაყოფილია 4 ფაზად: ნორმა და მისი შეფასება (I-II წლები); დაავადება და მისი მკურნალობა (III წელი); საბაზისო კლინიკური საგნები (IV წელი) და კლინიკური ცოდნის ამაღლება (V-VI წლები). სამედიცინო პროგრამის კურიკულუმს აქვს ნაწილობრივ ინტეგრირებული, სისტემაზე დაფუძნებული ხასიათი, რომელიც ითვალისწინებს დისციპლინებს შორის როგორც ჰორიზონტალურ, ისე ვერტიკალურ ინტეგრაციას. თითოეული როტაციის ბოლოს, სტუდენტი გადის ინტეგრირებულ გამოცდას.

რეაკრედიტაციის პერიოდისათვის პროგრამა შეიცვალა, გათვალისწინებულ იქნა ახალი დარგობრივი მახასიათებლები, სწავლებისა და შეფასების მეთოდები შესაბამა

დიპლომირებული მედიკოსის პროგრამის რეგულაციებს და დაემატა ახალი ლიტერატურა. პროცესში ჩართული იყო აკადემიური და მოწვეული პერსონალი.

დამსაქმებლები მუშაობდნენ პროგრამის ხელმძღვანელთან, ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტთან და აკადემიურ პერსონალთან მჭიდრო თანამშრომლობაში სწავლების/სწავლის პროცესში პრაქტიკული უნარების გასაუმჯობესებლად. ასევე, გათვალისწინებულია სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები.

დისტანციური სწავლება წარმოადგენდა გამოწვევას უნივერსიტეტისათვის. უნივერსიტეტის მთელი პერსონალი, ადმინისტრაციული, აკადემიური და დამხმარე, ჩართო პროგრამის სწავლებასა და სწავლის შედეგების მიღწევისათვის საკმარისი (მათ შორის ტექნიკური) მხარდაჭერის უზრუნველყოფაში. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებამ იყიდა Zoom-ის პლატფორმა, დაასკანერა ბიბლიოთეკაში არსებული საბაზისო და კლინიკური დისციპლინების სილაბუსებში ჩამოთვლილი ლიტერატურის გარკვეული გვერდები. უნივერსიტეტმა უზრუნველყო ტექნიკური მხარდაჭერა, დისტანციური სწავლების პლატფორმა ჩაშენდა სტუდენტის გვერდზე, აიტვირთა ლექციები და ასევე, გამოყენებულ იქნა 3D პრეზენტაციები. საბიბლიოთეკო რესურსები ჩაშენდა სწავლების პლატფორმაში. დებულებისა და განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ბრძანების თანახმად, სტუდენტები უზრუნველყოფილ იქნენ კლინიკური და პრაქტიკული კომპონენტებით. სდასუ-ს სტუდენტებს ასევე, მიეწოდათ ინფორმაცია ცალკეული მცირე ჯგუფებისათვის სპეციალური გრაფიკის შესახებ.

### **მტკიცებულებები/ინდიკატორები**

საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების და გაუმჯობესების მეთოდოლოგია;

სამედიცინო საგანმანათლებლო პროგრამა (კურიკულუმი);

კურსების/კომპონენტების სილაბუსები;

კურიკულუმის რუკა;

დაინტერესებული მხარეების ჩართულობის დამადასტურებელი მასალები;

უნივერსიტეტის ვებ-გვერდი [www.sdasu.edu.ge](http://www.sdasu.edu.ge)

ინტერვიუს შედეგები

### **რეკომენდაციები:**

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

### **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
- 

**შეფასება**

○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

**2.3. სასწავლო კურსი**

- ძირითადი სფეროს თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის/საგნის/მოდულის/კონცენტრაციის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს;
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

კრედიტები გადანაწილებულია საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრულ თითოეულ კომპონენტში. ისინი მოიცავს საკონტაქტო და დამოუკიდებელ საათებს, რომლებიც საჭიროა კონკრეტული კომპონენტის სწავლის შედეგების მისაღწევად და უზრუნველყოფენ დაგეგმილი შედეგების მიღწევის შესაძლებლობას. თუმცა, სასწავლო გეგმის განხილვისდროს ვერ გაირკვა, თუ როგორ გაკეთდა გაანგარიშება, რადგან დამოუკიდებელი და საკონტაქტო საათების ჯამი არ უტოლდება თითოეული სილაბუსის საათების საერთო რაოდენობას.

თითოეული კომპონენტის კრედიტები ინტეგრირებული სილაბუსისთვის შეესაბამება კონკრეტული კომპონენტის შინაარსს. მაგრამ ზოგიერთ ინტეგრირებულ სილაბუსში გაუგებარია, თუ როგორ ხდება სწავლის შედეგების მიღწევა. მეტი თვალსაჩინოებისთვის, გუნდი მოგაწვდით შემდეგ მაგალითს: ინტეგრირებულ

<p>სილაბუსებში (V სემესტრი) ”დაავადების განვითარება და მართვა I, პათოანატომია/პათოფიზიოლოგია, ფარმაკოლოგია, ქირურგია I, ბაქტერიული ინფექციები” ჩამოთვლილი შედეგები წარმოადგენს დარგობრივ დოკუმენტში ჩამოთვლილ სფეროს სპეციფიკურ მახასიათებელს (13 საკითხი). უფრო მეტიც, VI სემესტრში, სილაბუსში ”დაავადების განვითარება და მენეჯმენტი II” სწავლის შედეგები იგივეა. არ ჩანს ეტაპობრივი გაუმჯობესება.</p> <p>თვითშფასების ანგარიშში აღნიშნულია სტუდენტების დატვირთვის შესახებ და წერია, რომ ”სტუდენტების დატვირთვარის 30 კრედიტი სემესტრში, 60 კრედიტი წელიწადში (სტუდენტის ინდივიდუალური საგანმანათლებლო პროგრამის თავისებურებების გათვალისწინებით, მისი წლიური დატვირთვა შეიძლება იყოს 60 კრედიტზე მეტი ან ნაკლები, მაგრამ არაუმეტეს 75 კრედიტისა); თუმცა N3 ბრძანების ბოლო ცვლილებებით, მხოლოდ 15 დამატებითი კრედიტი არის ხელმისაწვდომი მთელი 6 წლის განმავლობაში. ყოველწლიურად ამის გაკეთება შეუძლებელია.</p> <p>ძირითადი ლიტერატურა და სასწავლო კურსების სილაბუსებში მოხსენიებული სხვა სასწავლო მასალა დარგის უახლესი საკითხების რელევანტურია და უზრუნველყოფს პროგრამის შესაბამისობას თანამედროვე მოთხოვნებთან.ასევე, ხელმისაწვდომია დისტანციურად.</p>
<p><b>მტკიცებულებები/ინდიკატორები</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>○ სამედიცინო საგანმანათლებლო პროგრამა (კურიკულუმი);</li> <li>○ კურსების/კომპონენტების სილაბუსები;</li> <li>○ კურიკულუმის რუკა;</li> <li>○ სასწავლო გეგმა</li> </ul>
<p><b>რეკომენდაციები:</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>○ უზრუნველყოფილ იქნეს დიპლომირებული მედიკოსის პროგრამის კრედიტების განაწილება სილაბუსებისა და სემესტრების მიხედვით.</li> <li>○ გადაიხედოს ინტეგრირებული სილაბუსების სწავლის შედეგები; მოყვანილ იქნეს სწავლის მიზნებთან შესაბამისობაში.</li> <li>○ სტუდენტთა დატვირთვა უნდა შეესაბამებოდეს საქართველოს კანონმდებლობას.</li> </ul>
<p><b>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</b></p> <p>არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p>
<p><b>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის</li> </ul>
<p><b>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა</li> </ul>

o

**შეფასება**

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

**2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება**

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

პროგრამის სტრუქტურის მიხედვით, სდასუ–სდიპლომირებული მედიკოსის პროგრამა მოიცავს პრაქტიკულ კლინიკურ უნარებს (10 კრედიტზე მეტი), კვლევით უნარებს (10 კრედიტი) და პროფესიული განვითარების უნარებს სემესტრების მიხედვით, რაც დამოკიდებულია სტუდენტების ცოდნაზე სწავლის სხვადასხვა ეტაპზე. მარეგულირებელი დოკუმენტი: "სწავლის შედეგების შეფასების მეთოდები" განსაზღვრავს, რომ კურსის კომპონენტის სილაბუსი დეტალებში აღწერს სწავლის შედეგების მეთოდებს, ქულებსა და კრედიტებს, რომლებიც ასევე შეტანილია კლინიკური უნარების შეფასების სისტემაში.

მედიცინისა და სტომატოლოგიის სკოლა 2018 წლიდან არის ევროპის მედიკოსს სტუდენტთა ასოციაციის (EMSA) წევრი. სტუდენტები აქტიურად არიან ჩართულნი ღონისძიებებში.

**სტუდენტები ჩართულნი არიან კვლევით საქმიანობაში.** სდასუ-სთან ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის საფუძველზე, ისინი მუშაობენ მორფოლოგიის ინსტიტუტში პედაგოგების მეთვალყურეობის ქვეშ. სტუდენტები აკეთებენ პრეზენტაციებს სდასუს-ს კონფერენციებზე. არსებული გამოწვევების შესაბამისად, სდასუ-ს სტუდენტმა სტუდენტური პარლამენტის ჯანმრთელობის კომიტეტს წარუდგინა პრეზენტაცია "ვაქცინით პროფილაქტიკა".

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**



<ul style="list-style-type: none"> <li>○ სამედიცინო საგანმანათლებლო პროგრამა (კურიკულუმი);</li> <li>○ ხელმოწერილი მემორანდუმები;</li> <li>○ პრეზენტაცია "ვაქცინით პროფილაქტიკის შესახებ".</li> </ul>
<p><b>რეკომენდაციები:</b></p> <p>წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები</p>
<p><b>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</b></p> <p>არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p>
<p><b>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის</li> </ul>
<p><b>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)</li> <li>○</li> </ul>
<p><b>შეფასება</b></p> <p>○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა</p> <p><input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</p>

<p><b>2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები</b></p>
<p>პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.</p>
<p><b>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</b></p> <p>სდასუ-ს დიპლომირებული მედიკოსის პროგრამა მოიცავს სწავლებისა და სწავლის სხვადასხვა მეთოდს: განმარტება, დემონსტრირება, შემთხვევის შესწავლა, სწავლა კლინიკურ გარემოში, სწავლა კლინიკურ და სიმულაციურ გარემოში, პრობლემაზე</p>

დაფუძნებული სწავლა (PBL), კლინიკურ შემთხვევაზე დაფუძნებული სწავლა (CBL), კლინიკური აზროვნება (CBCR), როლური თამაში, ჯგუფური მუშაობა, კლინიკური როტაციები უნივერსიტეტში/საგანმანათლებლო დაწესებულებებში: პაციენტის საწოლთან სწავლა, პაციენტთან კომუნიკაცია, პაციენტთან პრაქტიკა (ამბულატორიული და სტაციონარული პაციენტები), პრაქტიკული დავალებები ზედამხედველობის ქვეშ და ა.შ. მაგრამ ინტერვიუების დროს სტუდენტების ნაწილს არ ჰქონდა სათანადო გაცნობიერებული ყველა მეთოდი. პერსონალის წევრები და მოწვეული პედაგოგები ესწრებიან სხვადასხვა ტრენინგებს სდასუ-ში და უნივერსიტეტის გარეთაც.

უნივერსიტეტს შექმნილი აქვს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის (ICP) შემუშავების მეთოდოლოგია. ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას (ICP) შეიმუშავებს პროგრამის ხელმძღვანელი სტუდენტთან, პროგრამაში ჩართულ პერსონალთან და უნივერსიტეტის შესაბამის დეპარტამენტებთან კონსულტაციების საფუძველზე.

უნივერსიტეტში გასაჩივრების პროცედურები დარეგულირებულია. სააკრედიტაციო ვიზიტის პერიოდში მიმდინარეობდა მისი ავტომატურად ჩაშენება სტუდენტის სივრცეში.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- სამედიცინო საგანმანათლებლო პროგრამა (კურიკულუმი);
- კურსების/კომპონენტების სილაბუსები;
- აკადემიური პროცესის მართვის ელექტრონული სისტემა [www.emis.sdasu.edu.ge](http://www.emis.sdasu.edu.ge)

**რეკომენდაციები:**

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
- 

**შეფასება**

○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

■ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 2.6. სტუდენტების შეფასება

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

### სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სტუდენტთა მიღწევების შეფასება ხდება განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის №3 და 2016 წლის 18 აგვისტოს №102/ი ბრძანებების მოთხოვნის შესაბამისად. შუალედური შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვარი არის 21 ქულა. მინიმალური კომპეტენციის ზღვარი დასკვნითი გამოცდისათვის არის დასკვნითი გამოცდის მაქსიმალური შეფასების 50%. პროგრამის სასწავლო კომპონენტის საერთო შეფასების 100 ქულიდან შუალედური შეფასების წილი 60 ქულაა. ფინალურ გამოცდაზე სტუდენტის მიღწევა ფასდება მაქსიმუმ 40 ქულით. მინიმალური კომპეტენციის ზღვარი დასკვნითი გამოცდისათვის არის დასკვნითი გამოცდის მაქსიმალური შეფასების 50%.

შეფასების სისტემა იძლევა 5 პოზიტიური შეფასების საშუალებას: ფრიადი - 91 - 100 ქულა; ძალიან კარგი - 81-90 ქულა; კარგი - 71-80 ქულა; დამაკმაყოფილებელი - 61 - 70 ქულა და საკმარისი - 51-60 ქულა. ნეგატიური შეფასების ორი ტიპია: (FX) ვერ ჩააბარა - 41-50 ქულა (რაც იმას ნიშნავს, რომ სტუდენტს გამოცდის ჩაბარებისთვის მეტი შრომა სჭირდება და დამოუკიდებელი სამუშაოს საშუალებით დამატებით გამოცდის ჩაბარების უფლება ეძლევა) და (F) ჩაიჭრა - 40 და ნაკლები ქულა (რაც იმას ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ გაწეული შრომა არ არის საკმარისი და მას მოუწევს კურსის ხელმეორედ გავლა).

შეფასების სისტემისა და კომპონენტების შესახებ ინფორმაცია მოცემულია კურსების/კომპონენტების სილაბუსებში. სასწავლო პროცესის დასაწყისში ლექტორი აწვდის სტუდენტებს ინფორმაციას შეფასების სისტემის, მეთოდებისა და კრიტერიუმების შესახებ. ინტერვიუების დროს ზოგიერთმა სტუდენტმა გამოამჟღავნა ცოდნა OSCE გამოცდის შესახებ სიმულაციების გამოყენებით. მაგრამ ამ დროისთვის სდასუ-ს სრულად არა აქვს დანერგილი ამ ტიპის გამოცდები. ეს გაკეთდება აკრედიტაციის შემდეგ.

გამოცდის ჩატარებიდან მაქსიმუმ სამი დღის განმავლობაში სტუდენტს ეცნობება გამოცდის შედეგი. სტუდენტები იღებენ გამობმარებას თავიანთი შეფასებების შესახებ, რაც ეხმარება მათ შეცდომების გაცნობიერებაში და შედეგების სამომავლოდ გაუმჯობესებაში. გამოცდის შედეგით უკმაყოფილების პირობებში სტუდენტები უშუალოდ მიმართავენ ადმინისტრაციას. კერძოდ, შედეგის ოფიციალური შეტყობინებიდან არაუგვიანეს მეორე სამუშაო დღისა, სტუდენტს შეუძლია

დასაბუთებული საჩივრით მიმართოს მედიცინისა და სტომატოლოგიის სკოლის დეკანს და მოითხოვოს შედეგის გადასინჯვა; საჩივარს განიხილავს და გადაწყვეტილებას იღებს სააპელაციო კომისია, რომელსაც იწვევს სკოლის დეკანი. ლექტორები, ასევე ადმინისტრაციული პერსონალი ხელმისაწვდომია ყოველდღიურად.

დადგენილია, რომ სტუდენტთა შეფასება ხორციელდება განსაზღვრული პროცედურების მიხედვით. იგი გამჭვირვალეა და შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- სამედიცინო საგანმანათლებლო პროგრამა (კურიკულუმი);
- კურსების/კომპონენტების სილაბუსები;
- აკადემიური პროცესის მარეგულირებელი წესი;
- ინტერვიუების შედეგები;
- აკადემიური პროცესის მართვის ელექტრონული სისტემა [www.emis.sdasu.edu.ge](http://www.emis.sdasu.edu.ge);
- ვებგვერდი [www.sdasu.edu.ge](http://www.sdasu.edu.ge)

**რეკომენდაციები:**

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
- 

**შეფასება**

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

### პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა				

### 3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

#### 3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება

სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას.

#### სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

უნივერსიტეტი უზრუნველყოფს ადმინისტრაციულ საკითხებზე ინფორმაციის დროულ გავრცელებას ელექტრონული ფოსტის მეშვეობით.

სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და ორგანიზებისას სტუდენტი მხარდაჭერილია პროგრამის ხელმძღვანელის, პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის, სკოლის ადმინისტრაციის, სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის და სხვა სტრუქტურული ერთეულების მიერ, რომლებიც კომპეტენტურები არიან სასწავლო პროცესის მართვაში, სემესტრის დასაწყისისა და დასასრულის ფორმირებაში; ფინალური და დამატებითი გამოცდების თარიღები თავსდება უნივერსიტეტის ვებგვერდზე აკადემიური წლის

დაწყებამდე. ასევე, სემესტრის დაწყებამდე აკადემიური ცხრილები თავსდება ვებგვერდზე მედიცინისა და სტომატოლოგიის სკოლის განყოფილებაში.

